გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„ იმპიჩმენტის შესახებ“
საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღება განპირობებულია საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებით, რომლებიც ამოქმედდება 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან. მოცემული ცვლილებების თანახმად, იმპიჩმენტის საკითხის რეგულირება, ნაცვლად ორგანული კანონისა, უნდა მოხდეს საქართველოს კანონით. გარდა ამისა, იცვლება იმპიჩმენტის პროცედურაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია „იმპიჩმენტის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის გაუქმება და, სანაცვლოდ, „იმპიჩმენტის შესახებ“ კანონის მიღება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია იმ საკანონმდებლო ვაკუუმის შევსება, რომელიც შეიქმნება „იმპიჩმენტის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის გაუქმების შედეგად და საქართველოს კონსტიტუციის ასამოქმედებელ ნორმებთან იმპიჩმენტის პროცედურის შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

წარმოდგენილ კანონპროექტში იმპიჩმენტის პროცედურებთან დაკავშირებული წესები მნიშვნელოვანწილად იდენტურია ამჟამად მოქმედი ორგანული კანონით განსაზღვრული პროცედურებისა. კანონპროექტში ასახულია ის ცვლილებები, რომლებიც გამომდინარეობს კონსტიტუციის 63-ე, 64-ე და 75-ე მუხლებში 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონით განსაზღვრული ცვლილებებიდან და რომლებიც ამოქმედდება 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან.

საქართველოს კონსტიტუციის აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე, წარმოდგენილი კანონპროექტის პირველი მუხლიც იმპიჩმენტის პროცედურის დაწყების

საფუძვლად კონსტიტუციაში აღნიშნული თანამდებობის პირის მიერ კონსტიტუციის დარღვევას ან/და დანაშაულის ჩადენას განსაზღვრავს.

2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონის თანახმად, საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული თანამდებობის პირის მიმართ იმპიჩმენტის პროცედურის აღძვრის შემთხვევაში საკითხი დასკვნისათვის გადაეცემა საკონსტიტუციო სასამართლოს.

წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად, იმპიჩმენტის წესით თანამდებობის პირის თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე წარდგინება დასკვნისათვის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, ნაცვლად ამჟამად მოქმედი ორგანული კანონით განსაზღვრული 30 დღისა, შეტანილ უნდა იქნეს საკითხის აღძვრიდან 7 დღის ვადაში.

წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად, საქართველოს პარლამენტმა საკონსტიტუციო სასამართლოდან დასკვნის მიღებიდან არაუგვიანეს 15 დღისა უნდა განიხილოს და კენჭი უყაროს იმპიჩმენტის წესით თანამდებობის პირის თანამდებობიდან გადაყენების საკითხს.

წარმოდგენილი დასკვნა დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 საათისა, უნდა ეცნობოს კანონპროექტით განსაზღვრულ თანამდებობის პირებს.

იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლოდან დასკვნის მიღების დროს არ მიმდინარეობს მორიგი არ რიგგარეშე სესია, საქართველოს პრეზიდენტს წარედგინება რიგგარეშე სესიის მოწვევის მოთხოვნა კონსტიტუციითა და კანონით დადგენილი წესით.

წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად, კონსტიტუციის ასამოქმედებელი რედაქციის 63-ე მუხლიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნას განიხილავს პარლამენტი და განხილვის შემდეგ კენჭს უყრის საბოლოო გადაწყვეტილებას. კანონპროექტი, საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონიდან გამომდინარე, აღარ ითვალისწინებს პარლამენტის მიერ კენჭისყრით გადაწყვეტილების მიღებას საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის შესახებ საკითხის კენჭისყრაზე დაყენების შესახებ.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

ზ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ზ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული იმ პირების ფინანსურ ვალდებულებებთან, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ზ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას და შესაბამისად, არ ადგენს მის ოდენობასა და გადახდის წესს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ

ასეთი არ არსებობს.

ე) **კანონპროექტის ავტორი:**
კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის წევრი ვახტანგ ხმალაძე.

ვ) **კანონპროექტის ინიციატორი:**
კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრი ვახტანგ ხმალაძე.